შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№14 (9.579)

27 აპრილი-4 მაისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

კლიმატის ცვლილება - მითი თუ რეალური საფრთხე

ადამიანს მუდამ რაღაცის ეშინია. გასულ საუკუნეში საყვარელი საფრთხობელა რუსულ-ამერიკული ურთიერთობა, ცივი ომი და ატომური ბომბი იყო, კიდევ უფრო ადრე - ინფექციური დაავადებები, ათასობით, ათიათასობით ადამიანს რომ ავლებდა მუსრს... ძველი შიშები მეტ-ნაკლებად დაძლეულია. სამაგიეროდ, არავინ არ იცის, რა მოუხერხოს ახალს - კლიმატის ცვლილებას, თუმცა ზოგიერთს თუ მისი ხსენებაც თავზარს სცემს, ზოგისთვის ის მითი უფროა, ვიდრე რეალური საფრთხე.

კლიმატის ცვლილებას ბევრი მეტისმეტად მაღალ ტემპერატურასთან აიგივებს. სინამდვილეში ძლიერი სიცხე ათტომეულის მხოლოდ ერთი ტომია. კლიმატის ცვლილება სხვა უსიამოვნებებსაც გულისხმობს: ოზონის შრის გათხელებას, ჰაერის დაბინძურებას, ტორნადოებისა და ტაიფუნების გახშირებას და, თქვენ წარმოიდგინეთ, სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსების (საკვების, საწვავის...) მწვავე დეფიციტსაც კი.

თავდაპირველად დაგამშვიდებთ - კლიმატი ცვლილებას მუდამ განიცდიდა. "უჩვეულოდ ცხელი" ზაფხული ნებისმიერ საუკუნეში იქნებოდა, მაგრამ ეს პრობლემა იმ დროისთვის დიდად არავის აწუხებდა - მეცნიერები ჯერ კიდევ ვარსკვლავებს ითვლიდნენ და არამც და არამც არ სურდათ დაჯერება, რომ დედამიწა მრგვალი იყო და თანაც ბრუნავდა. კლიმატის ცვლილებასა და გლობალური დათბობაზე მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ალაპარაკდნენ, სწორედ იმ დროიდან, როდესაც მთელი მსოფლიოს ინდუსტრიალიზაცია დაიწყო. საწარმოო-ტექნიკური რევოლუციის კვალდაკვალ გაუარესდა გარემო: დაბინძურდა ატმოსფერო, გათხელდა ოზონის შრე... ამ ცვლილებებმა კლიმატზეც მოახდინა გავლენა და საბოლოოდ გლობალური დათბობა მოგვიტანა. გლობალური - იმიტომ, რომ მთელი დედამიწა მოიცვა, დათბობა კი იმიტომ, რომ წლიურმა ტემპერატურამ მოიმატა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მთელი წლის ტემპერატურის მაჩვენებლებს გადავავლებთ თვალს, შევამჩნევთ, რომ ზოგიერთი დღის განმავლობაში გაცილებით მაღალი ტემპერატურა აღირიცხებოდა და ასეთი დღეების რაოდენობა გასულ წლებთან შედარებით მეტი იყო.

კლიმატის ცვლილებას კი გარდა ტემპერატურის მატებისა, სხვა უსიამოვნებებიც ახლავს თან. ამიტომაც კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული მოვლენები დიდი ხანია, მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. 1979 წელს კლიმატისადმი მიძღვნილმა პირველმა მსოფლიო კონფერენციამ კლიმატის ცვლილება სერიოზულ პრობლემად აღიარა. ამ სამეცნიერო თავყრილობამ გამოიკვლია, გაანალიზა არსებული სიტუაცია და გამოსცა დეკლარაცია, მსოფლიოს მთავრობებისადმი მოწოდებით, რათა გაეთვალისწინებინათ და თავიდან აეცილებინათ კლიმატის ცვლილებები, რომელთაც შეეძლოთ მავნე ყოფილიყვნენ კაცობრიობის კეთილდღეობისთვის. თუმცა, ეს დეკლარაცია ვერ იქცა შემაკავებელ ფაქტორად თანამედროვე ტექნიკის საუკუნეში. მეცნიერთა გათვლებით, კლიმატის მოდელებით მიღებული პროგნოზით, 2100 წლისთვის გლობალური ტემპერატურა 1,4-5,8^{0}C-ით გაიზრდება. ეს ცვლილება ბევრად დიდი იქნება იმ ცვლილებებს შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული, სულ ცოტა 10 ათასი წლის განმავლობაში. მოსალოდნელია, რომ 2100 წლისათვის ზღვის საშუალო დონე აიწევს 9-8 სმ-ით, რაც გამოიწვევს დაბალი დონის უბნების წყლით დაფარვას და სხვა დაზიანებებს. კლიმატური ზონები შეიძლება წანაცვლდეს ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად, დაარღვიოს ტყეები, უდაბნოები და სხვა არამართვადი ეკოსისტემები. შედეგად, ბევრი მათგანი შემცირდება ან ფრაგმენტებად დაიყოფა, გარკვეული სახეობები კი შეიძლება გადაშენდეს.

კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოსაც შეეხო და გაუდაბნოების და სხვა საფრთხეების წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყანა.

აპრილის თვეში ულამაზესია საქართველოს ბუნება. სამეცნიერო-ჟურნალისტური ექსპედიციის ფარგლებში ჩვენ ერისიმედისკენ მივემართებით, ის საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარეობს და საკმაოდ მოშორებულია დასახლებულ პუნქტს. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ეს სოფელი აჭარიდან ჩამოსახლებული მოსახლეობითაა დასახლებული. ჩემს ცნობიერებაში ერისიმედი საზღვრის დარღვევის გამო აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ მოკლულ ახალგაზრდასთან და არაერთ გატაცებულ ადამიანთან ასოცირდება.

ოღროჩოღრო გზა უმშვენიერესი ბუნების აღქმაში ხელს გვიშლის - ზოგიერთი უკვე ბუზღუნებს... გზა სრულდება და სოფელში შესულებს ერთნაირი პროექტით ნაგები სახლები და სკოლის ახალი შენობა ხვდება თვალს. სოფლის რწმუნებული და სკოლის დირექტორი ერისიმედის პრობლემებზე დაუფარავად იწყებენ საუბარს. სოფელში, სადაც მდინარე ალაზანი პირობითი საზღვრის ფუნქციას ასრულებს, კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული უარყოფითი მოვლენები ყველაზე ძალუმად იგრძნობა. აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვარზე ვდგავართ, აქედან ხელის გაწვდენაზეა მესერი, რომელიც გვამცნობს, რომ ამის იქით სხვა ქვეყანაა. ჟურნალისტები ფოტოების გადაღებას ვიწყებთ. მესაზღვრეები მოდიან და ფოტოების გადაღებას გვიკრძალავენ. აქვე ცხვრები ძოვენ, მათ სულაც არ აშინებთ კანონი და რაიმე სახის აკრძალვა, საზღვრის დარღვევის გამოც მათ არავინ სჯის, თუმცა, მათი მოკითხვის მიზნით საზღვარს იქით გადასული მოსახლეობა ხშირად დასჯილა - ზოგჯერ პატიმრობით, ზოგჯერ კი სიცოცხლის ხელყოფითაც.

მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარე ეროზირებულია, რადგან ინტენსიურადაა გაჩეხილი მცენარეული საფარი. ამის გამო მდინარე კალაპოტს იცვლის და საქართველოს ტერიტორიას აზერბაიჯანის „სასარგებლოდ აჭრის". სოფლის მოსახლეობამ თავის დროზე ცოცხალი საზღვრის ფუნქცია შეასრულა, წინაალმდეგ შემთხვევაში ბუნებრივი კატაკლიზმების გამო ერისიმედი მოწყდებოდა საქართველოს. სპეციალისტების აზრით, ეროზიის თავიდან აცილება მცენარეული საფარის აღდგენითაა შესაძლებელი. მოსახლეობას უნდა გაუფრთხილდეს ხელისუფლება, რათა მათ იქ ცხოვრების სათანადო პირობები შეექმნას და არ დაიცალოს სოფელი, რომელსაც თავის დროზე საკმაოდ ოპტიმისტური სახელი ეწოდა.

ვემშვიდობებით სოფელს, მოსახლეობას და ყვარლის ტბაზე მივდივართ. მეორე დღეს მარშრუტი ჭაჭუნას აღკვეთილში გვაქვს. აქ მეორე ტრანსსასაზღვრო მდინარეა-იორი, რომლის კალაპოტის ცვლილებასაც ასევე უკავშირდება ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვა. ჯერ დალის მთის წყალსაცავზე მივდივართ. რამდენიმე წლის წინ ევროპირეთში ჭალის ტყეების აღდგენა-კონსერვაციის მიზნით ერთ-ერთ მთავარ საკითხად განიხილებოდა დალის მთის წყალსაცავის წყლის გამშვები დამბების აღდგენა, რათა უფრო ეფექტურად მომხდარიყო რწყვის პროცესის ბუნებრივ პირობებში ჩაყენება. ეს საკითხი, მეტ-ნაკლებად მოგვარდა, თუმცა, ჭალის ტყეს საფრთხე კვლავ ემუქრება. დედოფლისწყაროს ის რაიონია, რომელიც გაუდაბნოების საფრთხის წინაშე მდგარ რეგიონად განიხილება. ამ საფრთხის თავიდან აცილება კი გარემოსადმი სწორი დამოკიდებულებითაა შესაძლებელი. უნდა აღდგეს ქარსაფარი ზოლები, პარალელურ რეჟიმში კი უნდა მოხდეს მათი მოვლა და დაცვა, ასევე, ბუფერულ ზონაში არსებული საძოვრების სწორი მართვაა აუცილებელი, რათა არ განადგურდეს ის იშვიათი მცენარეული საფარი და სახეობები, რომელთა უმრავლესობაც წითელ წიგნშია შეტანილი. უამრავი რეგულაცია, რომელსაც დღეს გარემოსდაცვითი ორგანიზაციები გვთავაზობენ, არ ახალია, მაგრამ იმისი გააზრება, რომ კლიმატის ცვლილებას ბუნების გაფრთხილებით უნდა ვებრძოლოთ და ასევე, სატყეო თუ სოფლის მეურნეობებისადმი ახლებური მიდგომებით.

სამეცნიერო-ჟურნალისტური ექსპედიცია პროგრამის „საქართველოს რეგიონში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია" ფარგლებში განხორციელდა. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ და შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე.

ინგა შიოლაშვილი

ქვემო ქედი-არსილოსკალოს საავტომობილო ტრასის რეაბილიტაცია დაიწყო



გვ. 3

სამთაწყაროს ხიდის გახსნის პერსპექტივა გაჩნდა

გვ. 5

ბიბლიოთეკა – ჭერის გარეშე

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

მთავრობა დაკარგული ანაბრების თემაზე მუშაობს

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, მთავრობა დაკარგული ანაბრების თემაზე მუშაობს და ინფორმაციის სრულად შესწავლამდე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს

როგორც 25 აპრილს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა, ანაბრების რაოდენობის დადგენაზე ქვეყნის საშინაო ვალთან დაკავშირებით შექმნილი სპეციალური კომისია მუშაობს.

მინისტრის შეფასებით, დაკარგული ანაბრების თემა ძალიან რთული და კომპლექსურია.

,,დაკარგულია ძალიან ბევრი ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება დავეყრდნოთ, შესაბამისად, ვიდრე ზუსტი ცნობები არ გვექნება, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება მთავრობის მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნება. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ ამ საკითხზე. ეს არის სახელმწიფოს საშინაო ვალი, რომელიც სახელმწიფოს აღიარებული აქვს, ჩვენ ამ ვალის რაოდენობის დადგენაზე ვმუშაობთ", - აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

გიორგი მარგველაშვილი - 26 მაისი დიდი ეროვნული ზეიმი იქნება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, 26 მაისი დიდი ეროვნული ზეიმი იქნება. მან ამის შესახებ ჟურნალისტებს დღეს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

„ეს იქნება დიდი ეროვნული ზეიმი, რომელშიც მთავარი და წარმმართველი იქნება ის , რომ მთელი საქართველო ვზეიმობთ ერთად ამ დიდი სიამაყის დღეს. ამაში იქნება ჩართული ყველა. ეს დიდი თანხმობისა და ზეიმის დღე იქნება", - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა და დასძინა, რომ ამ ეტაპზე დეტალები ზუსტდება და კონკრეტულად ვერაფერს იტყვის.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ვიცე - პრემიერი გიორგი მარგველაშვილი ხელმძღვანელობს 26 მაისის ღონისძიებებისადმი მიძღვნილ კომისიას, რომელიც პრემიერ-მინისტრის ბრძანებულებით შეიქმნა.

უცხოელებზე მიწების გასხვისების შეჩერების მოთხოვნით კახეთში ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოში მიწების გასხვისების შეჩერების მოთხოვნით კახელი ფერმერები ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ. ფერმერები 25 ათასზე მეტი ხელმოწერის შეგროვებას ვარაუდობენ, რომელსაც პარლამენტს გაუგზავნიან და საკითხის დღის წესრიგში დაყენებას მოითხოვენ.

როგორც ფერმერებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, ამ მოთხოვნით მათ ბიძინა ივანიშვილს და პარლამენტის თავმჯდომარეს 2013 წლის იანვარში წერილობით მიმართეს,მაგრამ რეაგირება არ მომხდარა.

ფერმერები ითხოვენ, დაუყოვნებლივ იქნეს შესწავლილი თუ რამდენად კანონიერად მოხდა უცხოელებზე ქართული მიწების მიყიდვა და შემუშავდეს სტრატეგია გასხვისებული მიწების უკან დასაბრუნებლად.

2012 წლის 26 ივნისამდე საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონით (მე-4 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტით) აკრძალული იყო საქართველოში უცხოელის მიერ სასოფლოს-სამეურნეო მიწის შეძენა, თუ იგი სასოფლო-სამეურნეო მიწას მემკვიდრეობით მიიღებდა, მას მიღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 6 თვის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეზე უნდა გაესხვისებინა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებით, მსგავსი აკრძალვა (კანონის შესაბამისი მუხლების, პუნქტებისა და სიტყვების გაუქმებით) ძალადაკარგულად ითვლება.

შეგახსენებთ, სპეციალისტებმა საქართველოში მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით სპეციალური საკანონმდებლო ინიციატივა მოამზადეს. კანონპროექტის მიხედვით, უცხოელის მიერ საქართველოში სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა დაშვებელია მხოლოდ 2.5 ჰა ოდენობით, საერთო ჯამში კი, არსებული სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მხოლოდ 5% შეიძლება იყოს უცხოელთა საკუთრებაში. „სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონპროექტი ავტორებმა პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს უკვე გადაუგზავნეს. კანონპროქტი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა პაატა კოღუაშვილმა, სამართლის დოქტორმა ანა ფირცხალაშვილმა და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ზაურ ჯინჯოლავამ შეიმუშავეს.

ბიძინა ივანიშვილი — ვერცერთი ჩინოვნიკი ვერ გაბედავს კერძო საკუთრებაში ჩაერიოს

„საქართველოში იქნება სუფთა, დამოუკიდებელი და კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემო, ვერცერთი ჩინოვნიკი ვერცერთ შემთხვევაში ვერ გაბედავს კერძო საკუთრებაში ჩაერიოს, ჩინოვნიკების დანიშნულება იქნება მხოლოდ, რომ მაქსიმალურად შეგიწყონ ხელი ბიზნესის წარმოებაში," - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ქართულ — უკრაინულ ბიზნესფორუმზე განაცხადა.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, საქართველო ბიზნესის კეთების კუთხით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ქვეყანა იქნება და ბიზნესგარემო ისეთივე თავისუფალი გახდება, როგორც ევროპასა და ამერიკაში. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველო ბიზნესის კეთების მხრივ უნიკალური ქვეყანა იქნება, რადგან ბაზარი ცარიელია და ბიზნესის კეთება უფრო მარტივი იქნება.

„პირობები იქნება არანაკლები ამერიკასთან და ევროპასთან შედარებით. ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება ბიზნესთან დაკავშირებით არის განსაკუთრებული. კარგად ვაცნობიერებთ, რომ მხოლოდ ბიზნესს შეუძლია გადაჭრას ის მძიმე პრობლემები, რომლებიც საქართველოშია, ბიზნესს შეუძლია დაასაქმოს. საქართველო შეძლება იყოს უნიკალური ბიზნესის წარმოების კუთხით, რადგან დემოკრატიული ინსტიტუტები, რაც საჭიროა ბიზნესისთვის, სტაბილური პოლიტიკა, ეკონომიკა, სასამართლო, მედია, იფუნქციონირებენ არანაკლებ, ვიდრე ეს არის ევროპაში. უნიკალური და უკეთესი იმ კუთხითაც იქნება, რომ ევროპის განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ბაზარი ცარიელია, შესავსები და ასაწყობია ყველაფერი და ბიზნესის წარმოება უფრო იოლი იქნება," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ — მინისტრის განცხადებით, უახლოეს პერიოდში, მისი ინიციატივით 3 ფონდი შეიქმნება, რომლებიც ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს.

მესაზღვრის ცხედარი იპოვეს

უბედური შემთხვევა მოხდა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ საბათლოს მონაკვეთზე, სადაც სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი გარდაიცვალა. ერთ ერთი ვერსიით, 30 წლის მესაზღვრე ალეკო მინდიაშვილი თევზაობის დროს წყალმა წაიღო. მისი დროულად ძებნის პროცესს უამინდობა ართულებდა.

შსს-სასაზღვრო პოლიციის მე-4 სამმართველოს მე-7 სექტორის ხელმძღვანელის არსენ გიგაურის განმარტებით, ალეკო მინდიაშვილი საგუშგოდან მარტო გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

საძიებო სამუშაოებში ჯერ კახეთის, მოგვიანებით კი თბილისის სამაშველო სამსახურები მონაწილეობდ-

ნენ, შემდეგ ქართველი მაშველების გარდა პროცესში აზერბაიჯანული მხარეც ჩაერთო. გარდაცვლილი პოლიციელის საძიებო სამუშაოების მიმდინარეობით დედოფლისწყაროს გამგებელიც დაინტერესდა. ირაკლი შიოლაშვილი შემთხვევის ადგილზე მოადგილესთან - გივი გიგაურთან ერთად იმავე საღამოს ჩავიდა.

დაკარგული მესაზღვრის ცხედარს სამდღიანი საძიებო სამუშაოების შემდეგ მიაგნეს. მაშველებმა გვამი 26 აპრილს, 17 სათისთვის იპოვეს. სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს სამმართველოს მე-7 სექტორის თანამშრომელი 23 აპრილს საღამოს გაუჩინარდა.

ალეკო მინდიაშვილი ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის მკვიდრია, ის სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს მონაკვეთზე მუშაობდა. გარდაცვლილს მეუღლე და 5 წლის ქალიშვილი დარჩა.

გაზეთ „შირაქის" ინფორმაციით, გვამი მშობლიურ სოფელ გავაზში გადაასვენეს.

ილია მარტყოფლიშვილი

ჭიაკოკონობაზე საბურავების დაწვა 400-დან 600 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს

გარემოს დაცვის სამინისტრო ჭიაკოკონობის მოახლოებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და მოსახლეობას მოუწოდებს, საბურავების, მცენარეული და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაწვისგან თავი შეიკავონ. სამინისტროს ინფორმაციით, მეორადი საბურავების ღია წესით დაწვა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და 400-დან 600 ლარამდე ჯარიმდება.

„ჭიაკოკონობას ქალაქის სხვადასხვა უბანში ინთება კოცონები და საწვავ მასალად უმეტესად გამოიყენება მეორადი საბურავები, ფოთლები, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ურბანულ გარემოსდაცვით პრობლემას. მოსახლეობა ვერ აცნობიერებს, თუ რამდენად საზიანოა ჯანმრთელობისათვის მცენარეული და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღია წესით წვა. დამაბინძურებლები, რომლებიც წარმოიქმნება წვის ნებისმიერი პროცესის დროს, უარყოფითად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკოსისტემებზე," - ნათქვამია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სამინისტროს ინფორმაციით, საბურავის, ფოთლების და პოლიეთილენის წვის შედეგად გამოიყოფა ნივთიერებები, რომლებიც სხვადასხვა დაავადებას, მათ შორის კიბოს განვითარებას უწყობენ ხელს.

„განსაკუთრებით სახიფათოა რეზინის საბურავი, რომელიც უამრავ საშიშ ქიმიურ ნივთიერებას შეიცავს და მისი წვის შედეგად გამოიყოფა მთელი რიგი მაღალტოქსიკური დამაბინძურებლები. არსებული მონაცემებით, 1 ტონა რეზინის საბურავის ღია წესით დაწვისას ატმოსფეროში გამოიყოფა 270 კგ ჭვარტლი და 450 კგ სხვადასხვა ტოქსიკური აირი. მცენარეული ნარჩენების, მათ შორის ფოთლების, წვა აბინძურებს როგორც ჰაერს, ისე ნიადაგს. 1 ტონა მცენარეული ნარჩენის ბოლი გამოყოფს 9 კგ მიკრონაწილაკს. ისინი ჰაერის ორთქლთან ურთიერთქმედებენ და წარმოქმნიან ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ ეგრეთ წოდებულ „სმოგს"; ნიადაგის ზედა ფენაში კი მძიმე მეტალების შემცველობა 1,5-2 ჯერ იზრდება. ხშირად კოცონში ხვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებიც. პოლიეთილენის პაკეტის, პლასტიკური ბოთლის და მსგავსი ნარჩენების წვის დროს წარმოიქმნება მთელი რიგი ტოქსინები, ხოლო ქლორთან ურთიერთქმედების შემთხვევაში ატმოსფეროში გამოიყოფა დიოქსინები. ყოველივე ეს იწვევს იმუნური სისტემის დათრგუნვას, ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევას, ღვიძლის დაზიანებას. აგრეთვე, კავშირშია ონკოლოგიურ დაავადებებთან," - აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

გარემოს დაცვის სამინისტრო მოზარდებს ურჩევს, ნუ გაატარებენ დიდ დროს ცეცხლთან, რადგან ეს მათი ჯანმრთელობისთვის საშიშია.

„ჭიაკოკონობა უმეტესად მოზარდების გასართობია. ისინი აგროვებენ საწვავ მასალას და შემდეგ დიდ დროს ატარებენ ცეცხლთან, რაც მათი ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიშია. ბავშვები, ფილტვის განსაკუთრებული აგებულებისა და უფრო ხშირი სუნთქვის გამო, ღებულობენ მავნე ნივთიერებების 6-ჯერ მეტ დოზას, ვიდრე ზრდასრული ადამიანები. მოვუწოდებთ მოქალაქეებს, გაითვალისწინონ ყოველივე ზემოაღნიშნული, ნუ მიაყენებენ ზიანს გარემოს და ნუ შეუქმნიან საფრთხეს საკუთარ და სხვის ჯანმრთელობას," - ნათქვამია განცხადებაში.

ჭიაკოკონობა უძველესი წარმართული ტრადიციაა და აღდგომის მარხვის ბოლო კვირის ოთხშაბათს იმართება. ამ დროს, მოზარდები სხვადასხვა მასალით, ძირითადად საბურავებით ცეცხლს ანთებენ და მასზე გადახტომაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ზოგიერთ კუთხეში გავრცელებული რწმენის მიხედვით, რიტუალის შედეგად ჭიაკოკონობის ღამეს, ის ადგილები, სადაც ცეცხლი ანთია ავი სულებისგან იწმინდება.

მთავრობამ სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამა დაამტკიცა

საქართველოს მთავრობამ სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამა დაამტკიცა. როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, პროექტი ორ მიმართულებას მოიცავს. პირველი ეროვნული სასწავლო ცენტრის რეაბილიტაციის საბოლოო ფაზის განხორციელებას გულისხმობს.

მინისტრის ინფორმაციით, აღნიშნული ცენტრი დავით აღმაშენებლის ხეივანში მდებარეობს. იქ ფინალური სამუშაოებია ჩასატარებელი, მათ შორის, ტექნიკის ტესტირება. ცენტრი ივლისში გაიხსნება.

პროექტის მეორე მიმართულებაა ერთიანი ელექტრონული მონაცემების ბაზის შექმნა. ის სამედიცინო დოკუმენტაციას, პაციენტთა აღრიცხვიანობას და ხარისხის კონტროლს გააერთიანებს.

პროექტების განსახორციელებლად ჯამში 5 მილიონი ლარი გამოიყო.

წყლის დეფიციტი გაიზრდება

ყოფილი „ლიმონათის ქარხნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წყარო ქალაქში არსებულ წყლის დეფიციტს სრულად აღმოფხვრის — ამის შესახებ დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა განაცხადა.

დეფიციტი ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა” და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთობლივი პროექტის ფარგლებში აღმოიფხვრება, რის გამოც ქალაქ დედოფლისწყაროში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. თამარის ქუჩაზე არსებული წყარო უახლოეს მომავალში დამატებით კიდევ უამრავ აბონენტს მოამარაგებს. წყალი ცენტრალურ რეზერვუარში გადაიტუმბება და სამუშაოები ერთ თვეში დასრულდება.

როგორც გამგეობის პრესცენტრი იუწყება, წყაროზე მიმდინარე სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა და სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ტარიელ ღარიბაშვილმა მოინახულეს.

ირაკლი შიოლაშვილის განცხადებით ერთობლივი პროექტი წყლის დეფიციტს გაზრდის,რაც ქალაქ დედოფლისწყაროში, ასევე სოფლებში ხორნაბუჯსა და სამრეკლოში არსებულ წყლის დეფიციტს სრულად უზრუნველყოფს.

წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერის გია გოგილაშვილის განმარტებით, სოფლების სამრეკლოსა და ხორნაბუჯის მომარაგების გამო დედოფლისწყაროში წყლის დეფიციტის სიმცირის პრობლემა დგებოდა, ამიტომ პრობლემის აღმოსაფხვრელად ამ წყაროს გადატუმბვა გადაწყდა. გოგილაშვილის თქმით, ამ სამუშაოების დაწყება მისი დიდი ხნის ოცნება იყო.

ქვემო ქედი-არხილოსკალოს საავტომობილო ტრასის რეაბილიტაცია დაიწყო

საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტს სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია წარმოადგენს .მნიშვნელოვანია ის პროექტები,რომელთა განხორციელებასაც ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ჩვენს მუნიციპალიტეტში გეგმავს.ამ დროისათვის მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთის ,,ულიანოვკა-ბოდბე-გამარჯვება“რეაბილიტაცია.საავტომობილო გზის საფარის დაგება დაწყებულია ,,ნნორი-დედოფლისწყარო- ქვემო ქედის“ გზის მონაკვეთზეც.გზის მშენებლობის პირველ ეტაპზე სოფელ ქვემო ქედში სანიაღვრე წყალგამტარები შენდება ,რის შემდეგაც ასფალტის საფარის დაგება დაიწყება.

ქვემო ქედი-არხილოსკალოს რვაკილომეტრიანი საავტომობილო ტრასის მშენებლობის პროცესი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა პირადად დაათვალიერა. მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო,რომ მშენებლობაზე ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული. ირაკლი შიოლაშვილი ადგილობრივ მოსახლეობასაც გაესაუბრა და მიმდინარე პროექტებზე მათი მოსაზრებები მოისმინა. ქვემოქედელთა განცხადებით უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მათ სოფელში არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა.

ბარათებით ხვნა და დადისკვა არ ფერხდება

22 აპრილს სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგების შემდეგი ეტაპი განხორციელდა. ისევ გაჩაღდა ხვნა-თესვა მინდვრებში. შპს „მექანიზატორი“ კვლავაც შეუფერხებლად ემსახურება ხალხს.

ამ ეტაპზე მოსახლეობამ მიიღო უკანმიბრუნებული კომბინირებული ბარათების სანაცვლო ნომინალური ბარათები, რომლებიც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენას. ხალხი კმაყოფილია. ბევრ მათგანს სულზე მოუსწრო ამ თანხამ და მისცა შესაძლებლობა, სასუქი შეეტანა საშემოდგომო ნათესებში. ბევრმა სასოფლო-სამეურნეო იარაღები შეიძინა, ზოგმა კი ვენახის შესაწამლად - წამლები. ისე რომ, ხალხმა შვება იგრძნო და მადლიერია სოფლის მეურნეობის ფონდის მიერ განხორციელებული პროექტის.

- ჩემი კუთვნილი ბარათით მინაც მოვხანი, მის გასანოყიერებლად სასუქიც შევიძინე და იმდენიც დამრჩა, რომ ელექტროდრელე და კიდევ სხვა იარაღებიც ვიყიდე. საერთოდ, ასეთი ნაყოფიერი და ფართომასშტაბიანი პროექტი სოფლის მეურნეობაში ჯერ არ მახსოვს. ჩემს გარშემო უკმაყოფილო ადამიანი არ შემხვედრია, ყველა კმაყოფილია. ვინც კი დროულად მიაკითხა საკრებულოებს, სოფლებშიც და ქალაქშიც, დახმარება ყველამ მიიღო,“ - გვეუბნება კაენი ბაცაცაშვილი.

მართალია, საგაზაფხულო პროექტის ვადა 24 აპრილს ამოიწურა, საკრებულოები სიაში გამორჩენილ, ან დაგვიანებულ მიწის მესაკუთრეებს მაინც აღრიცხავენ იმ იმედით, რომ შეიძლება რაიმე ცვლილება განხორციელდეს. ისინი კი, ვისაც ჯერ არ მიუღია ბარათი და განაცხადი შეტანილი აქვს, უახლოეს დღეებში მიიღებენ კუთვნილ ბარათებს. ბარათებით სარგებლობის ვადა 1 აგვისტომდე გრძელდება.

ნაირა გორაშვილი

წიგნი და წიგნიერება მთავრობის საზრუნავიცაა

1995 წელს დაარსდა და 23 აპრილს პირველად აღინიშნა წიგნის და საავტორო უფლებების დაცვის მსოფლიო დღე. მას შემდეგ ეს დღე საქართველოში მუდამ წიგნის კვირეულის ჩატარებით და საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნებოდა. გამონაკლისია წელს. გამომცემლობები და მათთან ერთად ზოგიერთი წიგნის მაღაზიაც, პროტესტს გამოთქვამს საქართველოს განათლების სამინისტროს 8 აპრილის გადაწყვეტილების გამო, რომლის მიხედვითაც მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეთა სასწავლო სახელმძღვანელოების დაბეჭდვას სამინისტრო თავის თავზე იღებს და მას მოსწავლეებს უფასოდ დაურიგებს. გამომცელობები მიიჩნევენ, რომ ამ გადაწყვეტილებით ირღვევა როგორც მათი, ასევე საავტორო უფლებებიც. ამიტომ, მათ დუმილით აღნიშნეს ეს დღე და ზოგიერთმა მაღაზიამ ამ დღეს შეწყვიტა წიგნის გაყიდვა. ჩვენ დავინტერესდით, რას ფიქრობენ ამ აქციასთან დაკავშირებით სკოლებში ისინი, ვისაც უშუალოდ ეხება სამინისტროს ეს გადაწყვეტილება.

ხათუნა ფიროსმანაშვილი, - **ექიმი, VIII კლასის მოსწავლის მერაბ ფიროსმანაშვილის მშობელი,** - მომწონს და მივესალმები განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას. ამდენად, ვერ გავიზიარებ გამომცემელთა პროტესტს, თითქოს მათი უფლებები ირღვევა. მიმაჩნია, რომ, როცა გამომცემლობები სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვით დაკავდნენ, სწორედ მაშინ წახდა ჩვენი საქმე. გამოდიოდა ერთიდაიგივე საგნის სხვადასხვა ვარიანტები სხვადასხვა ავტორებით, მათი არჩევა მასწავლებელზე იყო დამოკიდებული, რაც, ერთგვარ უხერხულობას ქმნის. მაგალითად, მე წელს პირველი საჯარო სკოლიდან მეორე საჯარო სკოლაში ბავშვი გადმოვიყვანე მეორე სემესტრიდან. იმ სკოლაში სხვა წიგნები ჰქონდათ შერჩეული პედაგოგებს, ამ სკოლაში – სხვა. იძულებული გავხდი, ორჯერ შემეძინა წიგნები, ეს ხომ ორმაგი ხარჯია ოჯახისათვის. ისედაც ასორმოცდაათიდან ორას ლარამდე დაჯდა ამ კლასის წიგნები.

სამინისტროს ეს ნაბიჯი მშობლებისთვის დიდი შეღავათი იქნება. და საერთოდ, სასკოლო სახელმძღვანელოები ვიღაცის ბიზნესის და გამდიდრების წყარო არ უნდა გახდეს. ეს საქმე, სწორედაც, განათლების სამინისტრომ უნდა აიღოს თავის თავზე, შეიმუშავოს ერთიანი პროგრამა და უზრუნველყოს ჩვენი შვილები იმ ცოდნის მიღებით, რაც ერთიანი ეროვნული გამოცდების დაძლევისათვის იქნება სრულყოფილი. გამომცემლობები კი დაკავდნენ მხატვრული, ტექნიკური, საენციკლოპედიო თუ ცნობილ ავტორთა სერიული გამოცემებით, ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვით.

ნინო ლოლაშვილი, **პედაგოგი** - ნამდვილად მომწონს განათლების სამინისტროს ეს ნაბიჯი. ოთხი შვილი მყავს. დღეის მდგომარეობით უფროსი სტუდენტია, სამი გოგონა სკოლაში სწავლობს. მთელი წლის დანაზოგი სჭირდება მათი სასაწავლო საგნებითა და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას. ეს დიდი შეღავათი იქნება მშობლებისთვის, რომელთა უმრავლესობა დღეს უმუშევარია. ორი წლის წინ განხორციელდა პრეზიდენტის პროგრამა მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების თაობაზე, მაგრამ ისეთი პირობები იყო წამოყენებული, იშვიათმა ვინმემ თუ ვისარგებლეთ. მაგალითად, ოჯახიდან სამი ბავშვი უნდა ყოფილიყო მოსწავლე, მათ ერთიდაიგივე სკოლაში უნდა ესწავლათ. ათი შვილიც რომ ჰყოლოდა ადამიანს და მხოლოდ ორ მათგანს ევლო სკოლაში, მათზე ეს შეღავათი არ ვრცელდებოდა. საპიარო ნაწილში ეს ნიუანსები, რა თქმა უნდა, არ ჩანდა. ცხადდებოდა, რომ მრავალშვილიანებს წიგნები უფასოდ გადაეცათო და, ვინც ჩახედული არ იყო, მას სჯეროდა ამ „სიკეთის“. განათლების სამინისტროს ამჟამინდელი გადაწყვეტილება კი საყოველთაო იქნება,რაც ყველა ბავშვს ერთნაირად შეეხება. გამომცემლობებმა თავიანთი ბიზნესი სხვა მიმართულებით უნდა განავითარონ. ამასთან, სამინისტრო წიგნების ბეჭდვას ხომ მაინც გამომცემლებს შეუკვეთავს, მათ რა აწუხებთ, ვერ ვიგებ. ახლა თითქოს მოდაში შემოვიდა, რომ ყველაფერზე ვიღაცამ პროტესტი უნდა გამოხატოს, ახალი მთავრობის პირობებში ხალხს თავისუფლება მიეცა და... მე, პირადად, მიმაჩნია, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ბევრი სასიკეთო რამ კეთდება, მათ შორის ბავშვებისთვის. ძალიან მომწონს საბავშვო ბაღებში ბავშვთა კვება რომ გაუმჯობესდა და მშობლები გადასახადს აღარ იხდიან. ბაღები ისევ აივსო ბავშვებით. ოჯახი ისე ვერ უზრუნველყოფს ბავშვის კვებას დღევანდელ პირობებში, როგორც ბაღები. ეს სერიოზული შეღავათია.



ნაირა გორაშვილი

საველე ექსპედიცია ვაშლოვანის ნაკრძალში

გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე დედამიწის დღესთან დაკავშირებით ვაშლოვანის ნაკრძალს ეწვია.

მინისტრი დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და USAID-ის წარმომადგენლებთან ერთად თავდაპირველად ქალაქ დედოფლისწყაროში ნაკრძალის ადმინისტრაციულ შენობაში იმყოფებოდა, სადაც ნაკრძალში დასაქმებულ თანამშრომლებს გაეცნო და მათი პრობლემებით დაინტერესდა.

ამის შემდეგ, 22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს ხუთი ეკო-კლუბის წევრებისთვის ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე შემეცნებით-გასართობი საველე ექსპედიცია ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე, USAID-ის გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის ოფისის დირექტორი ჯილ კელი და წყალშემკრები აუზების მართვის პროგრამის" დირექტორი მარიამ შოთაძე.

მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ტრენინგ-პროგრამაში "ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვა და პროექტის წერა" და წარმოადგინეს პროექტები. მათ შორის გამოვლინდა გამარჯვებული ნომინაციაში "საუკეთესო საპროექტო იდეა".

ექსპედიცია მიზნად ისახავდა დედამიწის დღის აღნიშვნასა და ეკო-კლუბის წევრებისათვის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე მიმართული სამეცნიერო კვლევითი მეთოდების თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას.

ერთდღიანი საველე პროგრამა სპეციალურად შემუშავდა სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის — NACRES-ის, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ილიას უნივერსიტეტის ველური ბუნების დაცვის სპეციალისტების მიერ.

ნაკრძალის ტერიტორიაზე ჩატარდა ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობა, ნახევრად არიდულ და არიდულ ეკოსისტემებზე დაკვირვება ტელემეტრული მეთოდებით, ფოტოხაფანგისა და რადიო-გადამცემის გამოყენებით. „წყალშემკრები აუზების მართვა" (INRMW- Georgia) არის USAID-ის მიერ დაფინასებული ოთხწლიანი პროგრამა, რომელსაც ახორციელებს გლოუსის კონსორციუმი (GLOWS' Consortium) ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის (FIU) ხელმძღვანელობით. კონსორციუმში გაერთიანებულია CARE საერთაშორისო (CARE International), ვინროკ საერთაშორისო (Winrock International), იუნესკოს ჰიდროლოგიური განათლების ინსტიტუტი (UNESCO-IHE) და კავკასიის გარემოსდაცვითი (CENN) არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი.

ილია მარტყოფლიშვილი

ჩვენ ❤ დედამიწა!

22 აპრილი დედამიწის მსოფლიო დღეა. ამ დღეს ყოველწლიურად აღნიშნავენ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებიც. ასე იყო ამჯერადაც: ბიოლოგიის მასწავლებლის გულნარა ღორაშვილის ხელმძღვანელობით ამ თარიღს ორდღიანი ღონისძიება მიეძღვნა. პირველ დღეს VIII, IX და X კლასებმა მოაწყეს ეკოაქცია. სკოლის III სართულის ფართო ფოიე ბავშვების ნამუშევრების გამოფენას დაეთმო: აქ იყო ნახატები, აპლიკაციური ნამუშევრები, ძველი, გამოუყენებელი ნივთებისგან გაკეთებული საყოფაცხოვრებო საგნები. ფანჯრის რაფაზე მშვენიერი ქოთნის ყვავილები იწონებდნენ თავს. ყველა კლასმა გამოუშვა ამ დღისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთი. ცენტრალური თაღის ქიმზე ჩამოკონწიალებული გლობური კი აქეთ-იქეთ ირწევა და... შველას ითხოვს.

ღონისძიების მიზანიც სწორედ ის გახლდათ, რომ ერთხელ კიდევ შეახსენონ საზოგადოებას და ერთმანეთს, თუ რა საფრთხეშია დედამიწა, რა პრობლემების წინაშე ვდგავართ.

„ეკოლოგიური გარემოს ცვლილების მიზეზი ადამიანია. ჩვენ ვსარგებლობთ ეკოსისტემებით: ჯანსაღ ტყეს, ნაკადულს, ტბას თავისი წვლილი შეაქვს ჰაერის გასუფთავებასა და ჟანგბადით მის გამდიდრებაში. ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნება ამარაგებს კაცობრიობას აუცილებელი საკვებით, მედიკამენტებითა და სხვა მასალებით. დედამიწის მოსახლეობისა და მათი მოთხოვნილებების ზრდასთან ერთად სულ უფრო მეტად ვაზიანებთ იმ ეკოსისტემას, რომელზეც თავად ასე ვართ დამოკიდებული. მასშტაბი, მთელს ბიოსფეროში უკვე მომხდარი და მიმდინარე ცვლილებებისა, თითქმის წარმოუდგენელია. ჩვენ, ადამიანები, ვიყენებთ და ვცვლით ბუნებრივ ეკოსისტემებს. ვაბინძურებთ ჰაერს, წყალს, ნიადაგს. არაეკონომიურად ვიყენებთ ბუნებრივ რესურსებს, ხელს ვუწყობთ სახეობათა გადაშენებას და საფრთხის წინაშე ვაყენებთ ბიომრავალფეროვნებას. რაც მთავარია, გარემოზე ჩვენი მავნე ზემოქმედება თვითონ ადამიანების ჯანმრთელობაზე აისახება. გლობალური დათბობა, ოზონის შრის შემცირება და ტყის საფარის განადგურება იმ პრობლემების მხოლოდ ნაწილია, რომლის პირისპირაც დედამიწა და კაცობრიობა უკვე 100 წელზე მეტია დგას. ადამიანმა სახე უცვალა დედამიწას-გაიყვანა გზები, ააშენა ქალაქები და მასში ურიცხვი ქარხანა და ფაბრიკა ააგო, გაჩეხა ტყეები, შექმნა წყალსაცავები და სხვა. ეს ყველაფერი ადამიანს სიცოცხლისათვის, ცხოვრებისათვის სჭირდება. ეს საქმიანობა კი ზიანს აყენებს დედამიწას, ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროს: დაშრა მდინარეები, გაქრა არაერთი მცენარე და ცხოველი, გაჭუჭყიანდა ჰაერი. დედამიწა, მისი ბუნება შველას ითხოვს, - ყვებიან ბავშვები დედამიწის გასაჭირსა და ტკივილზე და აქვე ისეთ მარტივ ნაბიჯებს გვთავაზობენ, რომელთა შესრულება და გათვალისწინება თითოეულ ჩვენგანს შეგვიძლია და რომელთა შესრულება შეამცირებს წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობას, დაგვეხმარება ჩვენი პლანეტის დაცვაში. ეს ნაბიჯებია: შევამციროთ, ხელმეორედ გამოვიყენოთ და გადავამუშაოთ ნარჩენები. შემდეგ ბავშვებმა თითოეული მათგანის კონკრეტული მაგალითები მოიყვანეს და ერთმანეთს შეახსენეს, რომ შევამციროთ პოლიეთილენის პარკების და ბოთლების მოხმარება, მათი მიმობნევა გარემოში, გამოვიყენოთ ენერგოეფექტური ეკონათურები და მზის ენერგიაზე მომუშავე კალკულატორები, ვწეროთ ქაღალდის ორივე მხარეზე და ამით შევამციროთ ტყის გაკაფვა და სხვა.

ბიოლოგიის კაბინეტი, რომელშიც 23 აპრილს ღონისძიების მეორე ნაწილი VIII კლასელებმა ჩაატარეს, მრავალი მოწოდებით იყო გაჯერებული. „მოუარეთ დედამიწას, ის საჩუქრად არ მოუციათ თქვენს მშობლებს, იგი თქვენმა შვილებმა გათხოვეს!" - გვმოძღვრავს კენიური ანდაზა და ეს დღეც ეკოლოგიურ პრობლემებს და დედამიწის შველის გზებს მიეძღვნა.

ღონისძიებას შემოუერთდნენ თბილისიდან დაბრუნებული ამავე სკოლის X კლასის წარჩინებული მოსწავლე ნატალი მაძღარაშვილი და №1 საჯარო სკოლის IX კლასის ასევე წარჩინებული მოსწავლე ნინო შანშაშვილი, რომლებიც ჩართული იყვნენ GEHH-ის პროექტში „კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება". მათ მიერ დამუშავებულმა თემებმა „უსაფრთხო გარემოში ცხოვრება ჩვენი უფლებაცაა და მოვალეობაც" და „SOS - დედმიწას უჭირს!" მოწონება დაიმსახურეს. ისინი გარემოს დაცვის სამინისტროში მიწვეულნი იყვნენ დედამიწის დღისადმი მოწყობილ შეკრებაზე 22 აპრილს. მათ ღონისძიების მონაწილეებს ამ დღის შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

დაფაზე გამოკრული დიდი ცარიელი ფურცელი, რომელსაც სათაურად ეწერა: „როგორ ვუშველოთ დედამიწას?" ღონისძიების დასასრულს მონაწილეებმა და სტუმრებმა ინდივიდუალური წინადედებებით შეავსეს, თითოეული ინიციატივა მისაღები და ცხოვრებაში გასათვალისწინებელი გახლდათ. ღონისძიების კულიმინაცია იყო, როდესაც საჰაერო ბუშტებით XI კლასელების გზავნილი მთელ მსოფლიოს ჰაერში აიჭრა. ადამიანებო, ვიზრუნოთ პლანეტის გდარჩენისათვის, მას ხომ „დედა+მიწა" ჰქვია!

ნაირა გორაშვილი

სამთაწყაროს ხიდის გახსნის პერსპექტივა გაჩნდა

სამინისტროს წარმომადგენლები ადგილზე ჩავიდნენ

სამთაწყაროს ხიდის გახსნასთან დაკავშირებით დადებითი ძვრები შეინიშნება. ახალი ხელისუფლება აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი ხიდის აღდგენით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც გაზეთმა „შირაქმა“ ეს საკითხი პრემიერ - მინისტრთან რეგიონული მედიის შეხვედრისას წამოჭრა და მისი გახსნის აუცილებლობაზე ისაუბრა. რეგიონული განვითარების სამინისტრო ჟურნალისტ ილია მარტყოფლიშვილის მიერ ბიძინა ივანიშვილთან დასმულ შეკითხვას ეხმაურება და საგანგებო წერილით გვპასუხობს. წერილობითი პასუხი რედაქციამ გასულ კვირას მიიღო. პრესსამსახურის ცნობით, სამინისტროს წარმომადგენლებმა სამთაწყაროს ხიდი ადგილზე უკვე მოინახულეს.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის რეგიონულ მედიასთან შეხვედრისას თქვენი გაზეთის ჟურნალისტმა, ილია მარტყოფლიშვილმა დასვა შეკითხვა აზერბაიჯანთან დედოფლისწყაროს დამაკავშირებელი ხიდის გახსნასთან დაკავშირებით.

გიგზავნით ინფორმაციას:

აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე, არხილოსკალო-სამთაწყაროს საავტომობილო გზის მე-7 კილომეტრში მდ. ალაზანზე მდებარე ხიდი არ განეკუთვნება ჩვენი სამინისტროს კომპეტანციის სფეროს. თუმცა, ამის მიუხედავად, სამინისტროს წარმომადგენლები ადგილზე ჩავიდნენ და შეისწავლეს ხიდის მდგომარეობა.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, უპირველესად, გადასაწყვეტია სასაზღვრო-საბაჟო საკითხები, რომლის შემდეგაც დღის წესრიგში დადგება მისი რეაბილიტაციის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხიდის რეაბილიტაცია არ არის ჩვენი კომპეტენცია, მთავრობის დადგენილების შემთხვევაში, შესაძლებელია შევასრულოთ მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები.“ - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ჩვენმა გაზეთმა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან რეგიონული მედიის შეხვედრაზე აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი ხიდის გახსნის საკითხი დააყენა. ივანიშვილი დაგვპირდა, რომ საკითხით დაინტერესდებოდა და დავით ნარმანიასაც დავალებას მისცემდა.

სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობა უკვე რამდენიმე წელია აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი ხიდის გახსნას ითხოვს. სამთაწყაროს ხიდი 7 წლის წინ ჩაიკეტა, მიზეზად მისი ამორტიზებულობა დასახელდა და ითქვა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო. ამ დრომდე იქ არანაირი სამუშაო არ მიმდინარეობს, თუმცა არც ხიდი გახსნილა. მხოლოდ ერთხელ გაიხსნა 2008 წელს, ისიც წინასაარჩევნოდ, ამომრჩევლის გულის მოსაგებად. მიმოსვლის აღდგენას ადგილობრივებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, რადგან ამ სოფელში ცხოვრობენ საინგილოდან გადმოსახლებული ჰერები და აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები და ისტორიულ ჰერეთს ამ ხიდით უკავშირდებოდნენ. ისინი მეზობელი ქვეყნიდან საწვავის და საკვები პროდუქტების იაფად შემოტანას ახერხებდნენ, ახლობლების და წინაპართა საფლავების მოსანახულებლად გადადიოდნენ. ახლა კი მიმოსვლა აკრძალულია. თავის დროზე ხიდის ჩაკეტვა პეტრე ცისკარიშვლის ბიზნესინტერესებს დაუკავშირეს, ის ამ პერიოდში კახეთის გუბერნატორი გახლდათ. თქვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და მანამდეც ამ ხიდის გახსნის მოთხოვნით არაერთი საპროტესტო აქცია გაიმართა. რამდენჯერმე ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ადგილზე სპეცრაზმის ჩაყვანა გახდა საჭირო. ამ სოფლებში არ არის ქრისტიანული ტაძარი და მოსახლეობას კახის ქურმუხის ტაძარში უხდება მიმოსვლა.

პრემიერ ივანიშვილთან შეხვედრიდან ერთი თვის თავზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან წერილობით მიღებული პასუხი გვაძლევს იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ახალ ხელისუფლებაში ხიდის დაკეტვას აღარავინ ლოგირებს და მისი გახსნის პერსპექტივაც რეალურია. ოფიციალურ წერილში ჩანს, რომ სამინისტრო მისი რეაბილიტაციისთვის მზადყოფნას გამოხატავს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტის წევრი, ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე თამაზაშვილიც ხიდის გახსნის თემაზე აქტიურად მუშაობს. წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართული შეხვედრების დროს სამთაწყაროს ხიდის მეშვეობით მეზობელ აზერბაიჯანთან მიმოსვლის აღდგენა დეპუტატის ერთ-ერთი დაპირება იყო.





საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
Ministry of Regional Development & Infrastructure of Georgia

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის რეგიონულ მედიასთან შეხვედრისას თქვენი გაზეთის ჟურნალისტმა, ილია მარტყოფლიშვილმა დასვა შეკითხვა აზერბაიჯანთან დედოფლისწყაროს დამაკავშირებელი ხიდის გახსნასთან დაკავშირებით.

გიგზავნით ინფორმაციას:

აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე, არხილოსკალო-სამთაწყაროს საავტომობილო გზის მე-7 კილომეტრში მდ. ალაზანზე მდებარე ხიდი არ განეკუთვნება ჩვენი სამინისტროს კომპეტანციის სფეროს. თუმცა, ამის მიუხედავად, სამინისტროს წარმომადგენლები ადგილზე ჩავიდნენ და შეისწავლეს ხიდის მდგომარეობა.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, უპირველესად, გადასაწყვეტია სასაზღვრო-საბაჟო საკითხები, რომლის შემდეგაც დღის წესრიგში დადგება მისი რეაბილიტაციის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხიდის რეაბილიტაცია არ არის ჩვენი კომპეტენცია, მთავრობის დადგენილების შემთხვევაში, შესაძლებელია შევასრულოთ მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც სამთაწყაროელებმა რამდენიმე საპროტესტო აქცია გამართეს და ხიდის გახსნა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მოითხოვეს. აქციები, რომელთაც ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიური სახე აქვს, ცენტრალური მედიასაშუალებებითაც აქტიურად შუქდებოდა. მხოლოდ ნოემბერში ადგილობრივებმა ხიდის გახსნის მოთხოვნით საპროტესტო აქცია ორჯერ გამართეს და ხიდის დაკეტვაში კახეთის ყოფილი გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი დაადანაშაულეს. მათი განმარტებით, ცისკარიშვილის ბიზნეს-ინტერესების წყალობით ადგილობრივები დაზარალდნენ. გასულ წლებშიც ამავე მოთხოვნით საპროტესტო აქციები ინტენსიურად იმართებოდა. ხიდი 2008 წლის აპრილში წინასაარჩევნო პერიოდში დროებით გახსნეს, რომელიც მალევე დაიკეტა.

სამთაწყაროელების პროტესტს იმხანად პარლამენტის წევრი ალექსანდრე თამაზაშვილი გამოეხმაურა და ჩვენთან საუბარში მოკლე კომენტარი გააკეთა.

„ჩემი ინფორმაციით, მთავრობაში ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს და ალბათ კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებენ. თუ საქმე ხალხის სასარგებლოდ არ გადაწყდება, მაშინ მე ყველაფერს გავაკეთებ მათ დასახმარებლად“, - განაცხადა ალექსანდრე თამაზაშვილმა.

„ხიდი კონტრაბანდის აღკვეთის მოტივით ჩაიკეტა. იქ სასაზღვრო პოლიცია დგას და ხიდს აკონტროლებს. აზერბაიჯანში საავტომობილო მიმოსვლა აკრძალული გვაქვს, მხოლოდ ფეხით გადასვლის ნებას გვაძლევენ. იქით ნათესავები გვყავს, მათ ნახვას ვერ ვახერხებთ და ერთმანეთს ვკარგავთ. როცა ხიდზე ფეხით გადავდივართ, 7 კილომეტრის მანძილის გავლა გვიწევს, რადგან სანამ დასახლებულ პუნქტამდე არ მივალთ, ტრანსპორტი არ არის. აზერბაიჯანში საავტომობილო მიმოსვლა ახლა წნორი-ლაგოდეხის შემოვლითი გზით არის შესაძლებელი, ეს კი დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ორივე მიმართულებით დამატებით 300 კილომეტრია გასავლელი, ხიდის გავლით კი საინგილო 50 კილომეტრშია. ჩვენი მოთხოვნაა, რომ ხიდზე ტრანსპორტით გადასვლის საშუალება მოგვცენ, არავითარი კონტრაბანდა ჩვენ არ შემოგვქონდა“, - განაცხადა ადგილობრივმა სანდრო ხილაძემ.

შეგახსენებთ, 2011 წლის ივნისში, დედოფლისწყაროში გამართულ პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის გასვლით სხდომაზე მაშინდელმა მაჟორიტარმა დეპუტატმა ავთანდილ ლეკაშვილმა ხიდის გახსნის აუცილებლობაზე ისაუბრა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისგან ხიდის გახსნა მოითხოვა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია.

იმხანად, კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი აცხადებდა, რომ ხიდი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოთხოვნით ჩაიკეტა. „ხიდი ამორტიზებულ მდგომარეობაშია და ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეს ვერ შევუქმნით“, - განაცხადა მაშინ სიბაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

ბიბლიოთეკა - ჭერის გარეშე

მას მერე, რაც წიგნის მსოფლიო დღე დაწესდა, დედოფლისწყაროს ცენტრალური ბიბლიოთეკა ყოველწლიურად წიგნის კვირეულით და სარაიონო ღონისძიებით აღნიშნავდა ამ, მათთვის მნიშვნელოვან პროფესიულ დღეს. წელს გამონაკლისია. ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ეს დღე ვერ აღნიშნა იმის გამო, რომ მათ საკუთარი ფართი არ გააჩნიათ. მას მერე, რაც ისინი თავისი ოფისიდან გამოასახლეს და იქ „საქართველოს ბანკმა“ დაიდო ბინა, ათეულ ათასობით წიგნი კანაფით მჭიდროდ შეკრულ-შეფუთული, მთელი წელია, კულტურის სახლის მცირე დარბაზში ერთმანეთზე აწყვია და საზოგადოებას მისი მოხმარების საშუალება არ აქვს. არადა, საბავშვო, თუ ცენტრალური ბიბლიოთეკის ფონდით ბევრი მოსწავლე და სტუდენტი სარგებლობდა.

ბიბლიოთეკის ბალანსზე რიცხული ცარიელი სტელაჟები კი კულტურის სახლის მეორე სართულზე ფოიეშია შეორხლილი, ცელოფანაკრული და ზოგან გაგლეჯილი ფანჯრებიდან მტვრითა და ჭუჭყით ივსება, მერცხლებისა და ჩიტების საბუდრად ქცეულა. არც კულტურის სახლის მოძველებული ჭერიდან ჩამონადენი წულისგანაა მთლად დაზღვეული.

რაიონის ხელმძღვანელობამ იცის ამ პრობლემის შესახებ. კულტურის და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელობაც უყურადღებოდ არ ტოვებს ამ საკითხს. განიხილება ბიბლიოთეკისთვის ბინის გამონახვის რამდენიმე ვარიანტი. იმედს გამოვთქვამთ, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მოკლე ხანში გადაწყვეტს ამ პრობლემას და ისეთ ადგილს მიუჩენს კულტურის ამ უძველეს და შეუცვლელ კერას, რომელიც მისაღები და ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის.

ნაირა გორაშვილი

ღორის აფრიკული ცხელება

როგორ ვლინდება ცხოველში ღორის აფრიკული ცხელება, რა სიმპტომებით ხასიათდება დაავადება და როგორ უნდა მოვიქცეთ, იმ შემთხვევაში თუ ღორი ცხელებისგან დაავადდა. ამ და სხვა კითხვებზე გვპასუხობს „ასოციაცია მომავლის ფერმერის“ მთავარი ვეტერინარი-კონსულტანტი, ბიოლოგიის დოქტორი **მიხეილ ჟიჟაკუა.**

-რა სიმპტომებით ხასიათდება აფრიკული ცხელება?

მხოლოდ სიმპტომებით ამის დადგენა არ ხდება, რადგან ღორის სხვა ინფექციურ დაავადებებსაც ახასიათებს იგივე ნიშნები, მცირე ინფორმაციით ძნელია განისაზღვროს, თუ დაავადების რა სახესთან გვაქვს საქმე, ვარაუდი შეიძლება გამოთქვა მას შემდეგ, როცა მინიმუმ გაირკვევა, ღორები არიან თუ არა აცრილები კლასიკურ ჭირზე, პასტერელოზზე, წითელ ქარსა და ცრუ ცოფზე (აუესკის დაავადება).

მას შემდეგ, რაც ვეტერინარულ-სანიტარული წესების დაცვით ჩატარებული იქნება ზემოთ ნახსენები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრები, დავაკვირდეთ ცხოველის მდგომარეობას, ღორში დასაწყისში იცის ტემპერატურის მოულოდნელი აწევა 40,5-42 0ც-მდე და მეტიც, პულსი აჩქარებულია 24-48 საათში, ტემპერატურა ქვევით ჩამოდის, სუნთქვა ზედაპირულია, ირღვევა მოძრაობის კოორდინაცია, ვითარდება ნერწყვდენა, ტემპერატურის აწევიდან 48-72 საათში ცხოველი კვდება. (ზემწვავე ფორმა).

მწვავე ფორმის დროს კლინიკური ნიშნები შემდეგნაირად არის გამოხატული: სხეულის ტემპერატურა მომატებულია, 40,5 0ც-ზე მეტია. სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ტემპერატურა ეცემა 35 0ც-მდე, ღორს ეწყება მოუსვენრობა, კონიუნქტივიტი, კანის ჰიპერემია, თუმცა, მადას ინარჩუნებს. ეწყება წყურვილი. ავადმყოფ ღორს სიარულის თავი არ აქვს და წევს, სიარულის დროს ბარბაცებს, უკანკალებს კუნთები, შეიძლება ქონდეს ცხვირიდან სისხლისდენაც, სუნთქვა წყვეტილია, აქვს ხველა. გულმკერდის პალპაციისას გამოიხატება მტკივნეული რეაქცია. მაკე ნეზვებში ადგილი აქვს აბორტირებას, კანი აქვს ციანოზური. ყელის, გულმკერდის, მუცლის და კიდურების შიგნითა ზედაპირზე დაავადების ბოლოს ვნახულობთ მრავლობით წერტილოვან სისხლჩაქცევებს. ადგილი აქვს საჭმლის მომნელებელი სისტემის აშლილობას, შეიძლება განვითარდეს პირღებინება სისხლიანი ამონაღებით, ასევე ადგილი აქვს მენინგო-ენცეფალიტის ნიშნებს, რომელიც მიმდინარეობს კრუნჩხვებით, კიდურების პარეზებით და დამბლით — დაავადება 4-7 დღეში სიკვდილით მთავრდება (მწვავე ფორმა).

დაავადება შეიძლება მიმდინარეობდეს ქრონიკული ფორმით. აქვს იგივე ნიშნები, შედარებით სუსტად გამოხატული, ავადმყოფობა გრძელდება ორი კვირა, ზოგჯერ მეტიც და უმრავლეს შემთხვევაში, სიკვდილით მთავრდება. გადარჩენილი ღორი (თუ ასეთი არის) რჩება ვირუსის მატარებლად. ავადმყოფ ცხოველს აღენიშნება პნევმონია, მადა შენარჩუნებულია, არის გამხდარი, სხეულის სხვადასხვა ადგილებში უვითარდება კანის ნეკროზი. დაავადება შეიძლება რამდენიმე თვე გაგრძელდეს. პათანატომიური კვეთისას, თითქმის ყველა ლიმფური კვანძები და პარენქიმური ორგანოები გადიდებულია, განსაკუთრებით ელენთა. ღორის ნებისმიერი ინფექციური დაავადების დროს ფერმერებმა უნდა მიმართონ ვეტერინარ ექიმს.

საერთოდ, ეს დაავადება 4-5 წელიწადში ერთხელ ფეთქდება, თუ ერთი შემთხვევაც კი დაფიქსირდა.

- როგორ მოიქცეს ფერმერი, თუ ცხოველს აფრიკული ცხელების სიმპტომები აქვს?

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფერმერმა ცხოველის ნებისმიერი ინფექციური დაავადების დროს უნდა მიმართოს ვეტექიმს, მოახდინოს დაავადებებზე ეჭვმიტანილი ღორების იზოლაცია. დაავადებულები გაანადგუროს უსისხლო მეთოდით რაიონის ვეტერინარული სამსახურთან შეთანხმებითა და ზედამხედველობით.

- რა უნდა გააკეთოს ფერმერებმა იმისთვის, რომ ღორი აფრიკული ცხოველებით არ დავადდეს?

ეს არის ღონისძიებების მთელის ნუსხა, რომელსაც უნდა ატარებდეს გლეხი თუ ფერმერი ადგილობრივი ვეტერინარული სამსახურის მითითებით, თუ რაიონი გამოცხადებულია დაავადების კერად. გასატარებელი ღონისძიებები უნდა შედიოდეს იმ საკარანტინო წესებში, რომელიც მითითებულია აღნიშნული დაავადების დროს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ობიექტის კარანტინის პირობებში მუშაობა. ვინაიდან საქართველოში დაფიქსირდა ღორის აფრიკული ჭირი, მოსახლეობას ვაფრთხილებთ, არანაირი ფორმით არ შეინახონ ღორის ხორცი.

- როგორ მოიქცნენ ფერმერები, რომელთა ღორებსაც ცხელება ჯერ არ შეხვედრიათ, თუმცა, სოფელში დაავადება გავრცელებულია?

ამის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ, დავამატებ, რომ ძირითადად ამ დაავადების გავრცელების გამო საქართველოში ღორის სულადობა საკმაოდ შემცირებულია, დღეს დარგის არსებობა-არარსებობის საკითხი, გადაშენების გზაზეა ან გადაშენდა არა მარტო შემოყვანილი, არამედ ადგილობრივი ენდემური ჯიშებიც, რომელთაც 2-3 ათასი წლის ისტორია აქვთ. დაავადება ისეთია, თუ არ შეეწინააღმდეგე სახელმწიფოებრივ დონეზე აფრიკული ჭირის საწინააღმდეგო ღონისძიებების აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებით, შედეგი ცუდი იქნება. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ხალხს, თითქმის ყოველდღე უნდა ვაწვდიდეთ სათანადო ინფორმაციას მედიის საშუალებით. რეგიონებში უნდა არსებობდეს ძლიერი ვეტერინალურ-სანიტარული სამსახური, რომლის მუშაობის შედეგი უნდა აისახოს მოსახლეობაში ღორის სულადობის გაზრდით. არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში 2008 წლამდე 600 ათასზე მეტი ღორი იყო და მაჩვენებელი დინამიკაში იზრდებოდა. დღეს ამ რაოდენობის 10 % -იც არ არის. არადა, ერთ-ერთი ცნობილი ვეტექიმი, პროფესორი ჯემალ ბაბაკიშვილი იტყოდა, აფრიკული ღორის ჭირი ისეთი დავადებაა, სანამ ბოლო ღორს არ გამოიყვანს საღორედან, არ გაჩერდებაო.

- სოფლებში, სადაც ღორები დახოცილა, ადგილობრივები ამბობდნენ, რომ ხშირად ლეში მდინარის ნაპირებზე ეგდო, რა შეიძლება გამოიწვიოს ამან?

დაავადებული ღორის ლეშის ქუჩაში დაგდებაზე საუბარიც არ შეიძლება, რადგან ასეთმა ლეშმა შეიძლება დაავადოს არა მარტო სოფელი და რაიონი, არამედ მთელი რეგიონიც კი მითუმეტეს თუ ღორი აფრიკული ცხელებით დაილუპა.

- სოფლებში ვეტერინარები ამბობენ, რომ ხშირად ფერმერმა არ იცის, როგორ გაუმკლავდეს პრობლემას, თქვენ სამსახურს თუ შეუძლია დაეხმაროს ასეთ დროს ფერმერებს და როგორ უნდა შეძლონ მათ თქვენთან დაკავშირება?

ჩვენი ცხელი ხაზის ნომრებია: 597141093, 597915367. ნებისმიერ დროს შეუძლია გლეხს, ფერმერს, დაგვიკავშირდეს და ჩვენ ყველანაირად შევეცდებით პრობლემების გადაჭრას ან მინიმუმ მიმართულების მიცემას მაინც.

ვფიქრობ, ბოლო დროს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, როგორც მთელ საქართველოში, ასევე თქვენს რეგიონებშიც ვეტერინარმა ექიმებმა სათანადო სწავლებატრეინინგები გაიარეს და გადიან, ამიტომ საჭიროა ამ ვეტექიმების გამოყენება სახელმწიფოს მხრიდან. ისინი უნდა გადანანილდნენ სხვადასხვა სოფლებში. თუნდაც 2-3 სოფელს ერთი ვეტექიმი მიამაგრონ. ვეტექიმები მინიმუმ ინფორმაციულ კონტაქტს მაინც უზრუნველყოფენ, ჩაატარებენ საქონლის სტატისტიკურ აღრიცხვას, დაადგენენ ცხოველის განადგურების სავარაუდო მიზეზს და სხვა. ანუ სახელმწიფოს ექნება რეალური ინფორმაციები სოფლების დონეზე. სწორედ ამ ინფორმაციებს უნდა დაეყრდნოს შემდგომ მეღორეობის, როგორც დარგის განვითარების პროგრამა. ცნობისთვის, საქართველო წელიწადში, თუ არ ვცდები, 40 000 ტონა ღორის ხორცს მოიხმარს, რაც მინიმუმ 200 მილიონი ლარია, ეს ტანხა ყოველწლიურად ქვეყნიდან გაედინება. ჩვენ გავქს რეზერვი, რომ გვყავდეს 1 მლ-მდე ღორი და ეს დარგი შემოსავლიან მიმართულებად ვაქციოთ სოფლის მეურნეობაში.

შეიძინეთ ჰერბიციდები და ვენახის წამლები შპს აგროქიზიყის მაღაზიაში

6 თვიანი უპროცენტო განვადებით,

მხოლოდ პირადობის მოწმობით.

შეძენილი საქონლის მაქსიმალური თანხა შედგენს 5000 ლარს

სასუქები, გვარჯილა, ჰერბიციდები, პესტიციდები, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, მოტორიანი ხერხები, ცელები, შესასხურებლები, ვეტერინარული პრეპარატები და სხვა

შეიძინეთ

„აგროქიზიყი“-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

„კონკერი“

ყველაზე ეფექტურად ებრძვის

შვრიუკას

შეიძინეთ

„აგროქიზიყი“-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

1 ლიტრის ფასი - 79 ლარი!!!

შეიძინეთ „აგროქიზიყში“ 6 თვიანი

უპროცენტო განვადებით!!!

მეორე ადგილი — კავკასიის ჩემპიონატზე

ქ. თბილისის სპორტ-კომპლექს „შრომითი რეზერვების“ ბაზაზე საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაციამ ჩაატარა „კავკასიის VII ღია ჩემპიონატი“. შეჯიბრზე მიწვეული იყო დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი“.

აღნიშნული ჩემპიონატიდან ჩვენი რაიონის ოთხი სპორტსმენიდან სამი ვერცხლის მედლით დაბრუნდა, ხოლო გუნდი დაჯილდოვდა დიპლომით „საუკეთესო ორთაბრძოლებისთვის“.

„რთული და უჩვეულო იყო ტაეკვანდოს წესებით და რინგის გარეშე ტატამზე ორთაბრძოლების ჩატარება, თუმცა ბიჭებმა ყველა ღონე იხმარეს მედლების და საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად.

ტაეკვანდო აღმოსავლური ორთაბრძოლების ნაირსახეობაა, მისი სამშობლოა კორეა. სპორტის აღნიშნულ სახეობაში უპირატესობა ფეხით შესრულებულ დარტყმებს ეძლევა და შედარებით მაღალი ქულებით ფასდება.

რაც შეეხება უშუალოდ ასპარეზობას: ჩვენი გუნდიდან პირველმა ლაშა ელყანაშვილმა ჩაატარა შეხვედრა ქ. ერევანის წარმომადგენელ სპორტსმენთან, მართლაც საკმაოდ ლამაზად და აქტიურად იასპარეზა ლაშამ მაგრამ მინიმალური ქულათა სხვაობით დამარცხდა.

60კგ წონით კატეგორიაში დავით ჯინაშვილმა სამ ორთაბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ფეხზე ტრავმა მიიღო, მაგრამ მაინც უარი არ უთქვამს ფინალში ბრძოლის ჩატარებისთვის. პირველი ადგილის მოპოვებისთვის ასპარეზობაში კი ვერ შეძლო აქტიური მოძრაობების შესრულება-თავდაცვა, შეტევა და ქულებით დამარცხდა.

64 კგ წონით კატეგორიაში ლამაზი სტილითა და კიკბოქსინგის დამახასიათებელი ტექნიკური ილეთების გამოყენებით მაყურებლის ყურადღება მიიპყრო გიორგი ბენაშვილმა.

გიორგიმ ფინალური ორთაბრძოლის წარმოებისას მეორე რაუნდის ბოლოს შეცდომა დაუშვა, დაცვა შეასუსტა, რითაც მოწინააღმდეგეს საშუალება მისცა, ძლიერი დარტყმებით უპირატესობა მოეპოვებინა და გაემარჯვა.

უფროსი ასაკის სპორტსმენების ორთაბრძოლებში მაყურებელიც და მსაჯებიც ინტერესით ელოდებოდნენ ფინალურ შეხვედრას 71 კგ წონით კატეგორიაში, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ სომხეთის ნაკრების საუკეთესო სპორტსმენი და ინსტრუქტორი არმენ ზარგარიანი და დედოფლისწყაროელი სპორტსმენი არსენ ყარაგვეზაშვილი.

მართლაც დაძაბული გამოდგა მათი სპორტული დუელი. დაწყების მომენტიდან დამთავრებამდე დაძაბულად და დინამიურად მიმდინარეობდა შეხვედრა, არც ერთი თმობდა ლიდერობას და არც მეორე, მაგრამ სომეხმა სპორტსმენმა ტაეკვანდოს წესებით დაშვებული გდებების გამოყენებით ქულები მოაგროვა მცირე უპირატესობით და მსაჯებმა გამარჯვება სომხეთის წარმომადგენელს მიაკუთვნეს.

VII კავკასიის ჩემპიონატი ტაეკვანდოში დასრულდა და სპორტსმენები წარსდგნენ კვარცხლბეკზე დასაჯილდოვებლად. ვერხცხლის მედლებითა და მეორე ადგილის დიპლომებით დაჯილდოვდნენ: გიორგი ბენაშვილი, დავით ჯინაშვილი, არსენ ყარაგვეზაშვილი.

საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დედოფლისწყაროს კიკ-ბოქსინგის გუნდ „ჩემპიონი“-ს ხელმძღვანელი თამაზ ყარაგვეზაშვილი დაჯილდოვა დიპლომით „საუკეთესო ორთაბრძოლებისთვის“.

ნუგზარ ყარაგვეზაშვილი

შვიდივე მედლით დაბრუნდა

ლილოს ფედერაციამ ქალაქ თბილისში ჩატაარა საქართველოს რიგით V ღია ჩემპიონატი ბრძოლა MMA-ს და K-1-ის წესებით. მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა სპორტული კლუბები და ფედერაციელიები. მიწვეულნი იყვნენ და მონაწილეობა მიიღო ეს აზერბაიჯანის გუნდებმა. საერთო ჯამში ასამდე სპორტსმენი გამოვიდა რინგზე.

„ზაქების“ სპორტსმენებმა დაძაბული შეხვედრები ჩაატარეს და შედეგებიც საუკეთესო აჩვენეს:

პირველი ადგილი NNa-ს წესებით დაიკავეს; ნოდარი ვარდიაშვილმა და ალეკო კოხტაშვილმა. მეორე ადგილი დაიკავა გიგა ნატროშვილმა, ხოლო მესამე ადგილი - გიორგი რევაზიშვილმა.

ბრძოლა K-1-ის წესებით იბრძოლა და პირველი ადგილი დაიკავეს. ნიკა ქევხიშვილმა და გელა ჩაფიძემ. მეორე ადგილი დაიკავა ლუკა მარტყოფლიშვილმა.

„ზაქებიდან“ შვიდი მონაწილე იყო და შვიდივე მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

მეორე ადგილი თბილისის მერიის თასზე

29-30-31 მარტს კახეთის უშუს რეგიონალური ფედერაციის ერთ-ერთი საკმაოდ წარმატებული სპორტსმენი ნიკა ჩიტიშვილი მონაწილეობას იღებდა ქ.თბილისის მერიის თასის გათამაშებაზე სპორტის ოლიმპიურ სახეობაში, კრივში. როგორც უშუ-ს კახეთის ფედერაციაში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, დედოფლისწყაროელმა სპორტსმენმა სპორტის ამ სახეობაში მონაწილეობა პირველად მიიღო.

მიუხედევად ამისა, ნიკა ჩიტიშვილმა 40,5 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილის აღება მოახერხა.

ამ შეჯიბრების ორგანიზატორი თბილისის კრივის ფედერაცია გახლდათ. დედოფლისწყაროდან დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ გიორგი ცისკარაული და ომარ წიკლაური. ომარი ახლახანს დაბრუნდა საბერძნეთიდან, სადაც სპორტულ მოღვაწეობას ეწეოდა კრივში. ახლა კი დედოფლიწყაროში აპირებს სპორტული მოღვაწეობის გაგრძელებას.

„კახეთის უშუს რეგიონალურმა ფედერაციამ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა თბილისის კრივის ფედერაციასთან და კიდევ მრავალ სიახლეს პირდება კახეთს და პირველ რიგში დედოფლისწყაროს რაიონს,“ — განაცხადა უშუ-ს კახეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ცისკარაულმა.

მისი თქმით, უახლოეს მომავალში დედოფლისწყაროში ახალი ჯგუფი შეიქმენება, მას ომარ წიკლაური უხელმძღვანელებს და ვიხილავთ, ოლიმპიური სპორტის, კრივის დარბაზს დედოფლიწყაროში.

ილია მარტყოფლიშვილი

ბზობა

მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას ანუ ბზობას უწოდებენ. ეს გახლავთ ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს.

„...ერი მრავალი, რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მოვალს იერუსალემდ, მოიღეს რტოები დანაკის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი, მეუფე ისრაელისაი!“, - ასე აღწერს იოანე მახარებელი მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის ამბავს.

მაცხოვრის შესვლა იესუსალიმს ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. უბრალო ადამიანებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უფალს. ეს ზეიმი წინასწარ არავის მოუმზადებია, ის ადამიანთა ყველაზე წმინდა, ყველაზე წრფელი გრძნობების უეცარი და, შეიძლება ითქვას, უფლის მიერ შთაგონებული გამოხატულება იყო. ასე ხდება, როცა ადამიანი ხარობს ღვთის დიდებულებისა და მისთა საკვირველთა საქმეთა გამო.

ამავე დროს, წმიდა სახარება საცნაურს ხდის იმ ფაქტს, რომ უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, ყოველთვის გაურბოდა მიწიერ პატივსა და დიდებას. ის თავმდაბლობითა და სიმშვიდით იფარავდა თავს ამქვეყნიური ზეობისაგან.

როდესაც მაცხოვარი მიუახლოვდა ბეთბაგესა და ბეთანიის მთას, რომელსაც ზეთისხილის მთა ეწოდება, ორი მოწაფე უახლოეს სოფელში გაგზავნა, რათა მიეყვანათ მისთვის შესასვლელშივე დაბმული ვირი და ჩოჩორი, რომლის ზურგზეც ჯერ არავინ მჯდარიყო. მოციქულებმა ბრძანება შეასრულეს. ეს ყველაფერი იმისთვის მოხდა, რომ აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება ზაქარიასი: „და პოვა იესო ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს: ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა და ზე ზის იგი კიცვსა ვირისასა“ (იოანე 12, 14-15).

იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალი ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა და ასე ეგებებოდა მაცხოვარს. ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“ (მათე 21, 9).

ბზის ან პალმის მშვენიერებით ეკლესია უფრო ცხოვლად გამოხატავს უფლის დიდებით შესვლად იერუსალიმში. ეს დიდი ხნის ტრადიციაა. V საუკუნის სასულიერო მოღვაწე, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი წმიდა პროკლე, თავის ერთ-ერთ სიტყვაში ასე ამბობს: „ხელთ ვიპყრათ პალმის ტოტები და შევეგებოთ დიდებით მომავალს უფალს ჩვენსას“.

ღმერთი კი ყოველ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კიცვზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებივით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც იერუსალიმში.

იერუსალიმს დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებსა და მტრებს - მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.

შპს „სერვისი 2007“-ის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნოდარ პაპაჩაშვილს მამის
ვალიკო პაპაჩაშვილის
გარდაცვალების გამო.

გამოსათხოვარი

რუსუდან მაჩაბლიშვილი

დედოფლისწყაროს პედაგოგიურ ინტელიგენციას კიდევ ერთი ღვაწლმოსილი პედაგოგი გამოაკლდა. ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 83 წლის ასაკში ამქვეყნიურ ცხოვრებას დაემშვიდობა და მარადისობაში გადასახლდა სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების ყოფილი პედაგოგი რუსუდან მაჩაბლიშვილი. ის დაიბადა და არასრული საშუალო განათლება მიიღო სოფელ ოზაანში. შემდეგ სწავლა გააგრძელა სიღნაღის პედაგოგიურ სასწავლებელში. 1949 წელს ახალბედა პედაგოგი გამარჯვების საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად მიავლინეს. მას მერე- 44 წლის განმავლობაში, იგი გამარჯვებელი ბავშვების აღზრდა-განათლებას ემსახურებოდა. იყო წარჩინებული პედაგოგი, მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო და ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი-თავისი აღსაზრდელების გულწრფელი სიყვარული. ქალბატონი რუსუდანი იყო გულისხმიერი და თავმდაბალი, დინჯი, განონასწორებული პიროვნება და კარგი სპეციალისტი.

მართალია, მას საკუთარი ოჯახი არ ჰქონდა და არც შვილები ჰყავდა, მაგრამ თავის ენერგიას და სიყვარულს უშურველად უნაწილებდა თავის ერთადერთი დის ოჯახს; დედისოდენა ამაგი დასდო უმცროს დას, მის შვილებს და შვილიშვილებს. სიცოცხლის ბოლო წლებიც დედოფლისწყაროში მათთან გაატარა. იყო ყველასგან დაფასებული და ზრუნვით გარემოსილი. ოზაანელებმა, გამარჯვებელებმა და დედოფლისწყაროელებმა, ახლობლებმა, ნათესავ-მეზობლებმა და მეგობრებმა ცრემლით გააცილეს საბოლოო გზაზე. ანდერძის თანახმად ოზაანის მშობლიურმა მიწამ მიიბარა მისი ცხედარი, მისი ხსოვნა კი სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც კი მას იცნობდა და სიახლოვე ჰქონდა.

გამარჯვების საჯარო სკოლის პედაგოგიური
კოლექტივი, ოჯახი და მეგობრები.

ჩემს პირველ მასწავლებელს!

ძვირფასო რუსუდან მასწავლებელო, თქვენმა გარდაცვალებამ დიდი სინანულის გრძნობა დამიტოვა: რამდენი ხანია, მინდოდა თქვენი ღვაწლი და ამაგი ერთხელ კიდევ შემეხსენებინა მკითხველისთვის რუბრიკაში „მივიწყებული პორტრეტები“, მაგრამ დღეს-ხვალეობაში ისე გამეპარა დრო, თანაც ისე მოულოდნელი, სულ რაღაც ერთი თვის ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალეთ, რომ ეს ჩანაფიქრი ვერ ავასრულე. მინდოდა, ერთხელ კიდევ მოგფერებოდით, მადლობა მეთქვა იმ ამაგისთვის, რომელიც დასდეთ სრულად გამარჯვების ახალგაზრდობას და პირადად ჩემს კლასს. ჩვენ ვიყავით პირველი სრული გამოშვება, რომელსაც ოთხი წლის მანძილზე გვზრდიდით და გვწვრთნიდით, გვაყალიბებდით შრომისმოყვარე, ალალ-მართალ ადამიანებად. თავადაც მერხიდან ახლადამდგარმა მთელი სული და გული ჩააქსოვეთ ჩვენს სწავლა-განათლებას. არ გიმტყუნეთ, სამართლიანად ამაყობდით, სოფელმა გამარჯვებამ ორი პროფესორი გაზარდა და ორივე ჩემი ნამოწაფრები არიანო. ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ პოპიაშვილი, რომლის სახელსაც მისი ნაადრევად გარდაცვალების შემდეგ გამარჯვების საჯარო სკოლა ატარებს და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ომარ წიკლაური, ორივე ხომ ჩვენს კლასში სწავლობდნენ. მე დღესაც თვალწინ მიდგას თქვენი ნატიფი თითები, რომელსაც ჩვენთვის სანატრელი „ფრიადები“ გამოჰყავდა, მე მახსოვს თქვენი შექება და თავზე ხელის ნაზი გადასმა, რაც უფრო მეტ სტიმულს მაძლევდა. სათნო, დედასავით მზრუნველი და სიყვარულით სავსე იყო თქვენი ჩვენდამი დამოკიდებულება. სწორედ თქვენზე თქვა პოეტმა: „მასწავლებელი, ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელიო.“ სწორედ იმ ათასი ბავშვის სახელით გიხდით მადლობას და გზას დაგილოცავთ, ჩვენო პირველო მასწავლებელო. ნათელში იყავით, უფალმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ.

სიყვარულით, სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის 1960-61 წლის კურს-დამთავრებულების სახელით
ნაირა გორაშვილი.

და ნათელა მაჩაბლიშვილი, სიძე ფერდინანდ გონაშვილი, დისშვილები: ირაკლი, გოჩა; რძლები: თამარ ლეკაშვილი, მაია ფოცხვერაშვილი, დისშვილები: ნათია, ნიკა, ნანუკა, ფერდო, სიძე გიორგი ქობულაშვილი იუწყებიან
რუსუდან მაჩაბლიშვილის
გარდაცვალებას.
დაიკრძალა 25 აპრილს, სოფელ ოზაანში.

ჩვენებური პრეზიდენტი

შაბათს, ღამის 2:48 საათზე, მობილური რეკავს... არ მძინავს, თუმცა უცხო ნომერია და ვყოყმანობ, ვუპასუხო, თუ არა.

– გამარჯობა, ხომ არ გაგაღვიძეთ? — ამ შუაღამისას სააკაშვილის ხმას ვამსგავსებ. გულწრფელად გითხრათ, ცოტა დავიბენი. ხმა არ ამომიღია და, არც ის მაცდის საუბარს...

– ხომ იცით, პრეზიდენტს საქმეები აქვს და გვიანობამდე მღვიძავს... ამიტომ დაგირეკეთ... მიხეილ სააკაშვილი გაწუხებთ... ჩვენმა საერთო მეგობარმა გადმომცა, რომ ჩემთან საუბარი გდომებიათ. იმდენი საქმე მქონდა, ახლა მოვიცალე და მაშინვე დაგირეკეთ... როგორ ბრძანდებით ბატონო ილია? (ჩვეული ტონით იცინის)

– მადლობა ბატონო პრეზიდენტო, თქვენ როგორ გიკითხოთ? - მივხვდი, რომ პაროდისტი იყო. ანუ, პრეზიდენტის პაროდისტი ქართლოს ნატროშვილი მირეკავდა...

– ნუ, ეხლა, ცოტა ხელი მტკივა. სხვა ყველანაირად კარგად ვარ... (ისევ სიცილი)

– ხელს მოუფრთხილდით, ბატონო მიხეილ - ხუმრობაში ავყევი.

– ასე გვიან არ გძინავთ?

– არ მეძინა, რაღაცას ვწერდი...

– აი ხომ ხედავთ, ჟურნალისტები და პრეზიდენტი ერთ დღეში ვართ, მაგრამ ცოტა უნდა დაისვენოთ...

ავუხსენი, რომ ახლახან რუსთავი2-ზე „პროფილში“, მაია ასათიანთან სტუმრობისას ძალიან გამიხარდა, როცა გაჟღერდა, რომ მას ფესვები დედოფლისწყაროდან აქვს. ვატყობ, ამით ძალიან გავახარე და კვლავ პრეზიდენტის ხმით მეკითხება

– როგორი იყო, კარგი გადაცემა გამოვიდა?

გულწრფელად აინტერესებს, რა გამოხმაურება აქვს ამ გადაცემას მშობლიურ დედოფლისწყაროში. ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ პაროდია რედაქციაშიც ყველას მოეწონა და მისი დედოფლისწყაროელობის ამბავიც ბევრისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. არც ის დამიმალავს, რომ რედაქციის თანამშრომლებს მისი პირადად გაცნობის სურვილიც გაგვიჩნდა... იმასაც ვუმხელ, რომ მისი ოსტატობის მიმართ სიმპათიები აქამდეც გვქონდა, თუმცა, მას შემდეგ რაც საკუთარი გვარის წარმომავლობა საჯაროდ დაადასტურა, ჩვენი მისდამი პატივისცემის მაჩვენებელი გაიზარდა. აქვე ჩავეკითხე, ***რა სიხშირით ახერხებ დედოფლისწყაროში ჩამოსვლას***-მეთქი.

– ზემო მაჩხაანში ახლოგლეგი მყავს. წელიწადში რამდენჯერმე ვახერხებ ჩამოსვლას. სამწუხაროდ, ხშირად ვერა, ძირითადად რთველში ჩავდივარ ხოლმე, ასევე ფიროსმანოგის დღესასწაულზე და ახალ წელს...

– გვარად მარტყოფლიშვილი ყოფილხართ და - პრეზიდენტის ხმით განაგრძობს - ანუ, გამოდის, რომ ჩვენებური ხართ? ზემო მაჩხაანიდან ხართ თქვენც?

– არა ბატონო პრეზიდენტო, დედოფლისწყაროში დავიბადე და გავიზარდე, თუმცა, ჩემი პაპა მირზაანიდან ყოფილა და საგვარეულო ზედაშეც იქ იყო.

– ძალიან კარგი, ძალიან კარგი! თუმცა, მაჩხაანშიც არიან თქვენი მოგვარეები. ვიმეგობროთ და ვითანამშრომლოთ. ძალიან გამეხარდა თქვენი გამოხმაურება. მართლა არ ველოდი დედოფლისწყაროდან ჟურნალისტების გამოხმაურებას.

ათას საკითხზე ვიხუმრეთ, შემდეგ კი აღნიშნა, რომ პირადი ნომრით მირეკავდა.

– ეს ჩემი პირადი მობილურის ნომერია, - კვლავ სააკაშვილის ხმით - ჩაიწერეთ, ტელეფონში დააფიქსირეთ და ნებისმიერ დროს რამე თუ დაგჭირდეთ, შემეხმიანეთ, მზად ვარ დედოფლისწყაროელებს ვემსახურო.“

„პრეზიდენტს“ დავემშვიდობე, ტელეფონი გავთიშე და დიდხანს ვიყავი მოულოდნელობისგან სასიამოვნოდ გაოცებული და აჟიტირებული. ვერ მოვითმინე და მაშინვე სოციალურ ქსელში მეგობრებს გავუზიარე, რომ „პრეზიდენტმა“ დამირეკა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ამ პაროდისტის ეკრანზე გამოჩენა, ცხადია, თავიდანვე შევნიშნე, თუმცა, არ დაგიმალავთ და მისი ნამდვილი ვინაობით არ დავინტერესებულვარ და არც გვარისთვის მიმიქცევია ყურადღება, თორემ ნატროშვილი რომ გამეგო, ვიცი მაია ასათიანზე ადრე ჩავეძიებოდი ამ საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ტელეჟურნალისტიკა მაქვს ნასწავლი და, რატომღაც, გადაცემების დასასრულს ეთერში წარწერების კითხვა და სარედაქციო ჯგუფის წევრების გვარების წაკითხვაც დიდი ხანია ჩვევად მაქვს, ამ ადამიანის ვინაობა მართლა გამომეპარა. თან ისე ემთხვეოდა, რომ რამდენჯერაც მის სატელევიზიო გამოსვლებს შევსწრებივარ, არცერთხელ არ ყოფილა აქცენტი მის ვინაობაზე გადატანილი. ყველაფერი „პროფილში“ გაიშიფრა და მაშინვე წამოვიყვირე, ჩვენებური ყოფილა თქო და მართლა გამიხარდა.

გადაცემა „პროფილის“ ეთერში გასვლიდან მეორე დღეს, რედაქციაში საუბარი ამ ახლადგამოჩენილ პაროდისტზე ჩამოვარდა, ყველამ სიხარული გამოხატა, რომ ის დედოფლისწყაროელი აღმოჩნდა. იქვე დავძინეთ, სხვა, მანამდე ცნობილი პაროდისტებისგან განსხვავებით ქართლოსი სააკაშვილის ბევრ ნიუანსს მართლაც გაცილებით ეფექტურად აკეთებს. რედაქციაში ისიც ვთქვით, რომ მისი კორდინატები მოგვეკითხა...

იმავე საღამოს სოციალურ ქსელში მეგობარი კოლეგების ფოტოებს წავაწყდი. „მე და პრეზიდენტი“ - ასე იყო დასათაურებული, საკმაოდ შინაურულ გარემოში გადაღებული ფოტოები, რომელიც გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტს მარი გულორდავას ეკუთვნოდა. პრეზიდენტში, ცხადია, სააკაშვილის პაროდისტი, ჩემი „ზემლიაკი“ ქართლოს ნატროშვილი იგულისხმებოდა და ფოტოებზეც სწორედ ის იყო გამოსახული მარისთან ერთად.

მარი ჩემი მეგობარია. 4 წელიწადზე მეტი ერთად ვმუშაობდით თბილისში გამომავალ ერთ-ერთ გაზეთში და შემდეგ ჟურნალშიც. ჰოდა, ამ სურათის შემხედვარემ, მათი სურათის „დალაიქების“ შემდეგ მეგობრობის შეხსენება გადავწყვიტე და მარის ვთხოვე, ამ პაროდისტის კორდინატების დადგენაში დამხმარებოდა. იქვე სიამაყით დავამატე, ჩემი რაიონიდან ყოფილა-მეთქი. მარი დამეთანხმა, თუმცა, სიმართლე გითხრათ, მისგან მაქსიმუმ ნატროშვილის მობილური ტელეფონის ნომერს ველოდი, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ახლადგამოჩენილი ვარსკვლავი თავს არ დაიფასებდა და უცნობ ჟურნალისტთან კონტაქტს მოისურვებდა. მითუფრო, ვფიქრობდი, შესაძლოა, რეგიონული მედია არაფრად ჩააგდოს-მეთქი.

ქართლოსი გულწრფელი და უშუალო რომ არის, ეს „პროფილში“ სტუმრობისასაც კარგად ჩანდა. თუმცა, მასთან დაკონტაქტებას ჩემი თხოვნიდან მეორე დღესვე ნამდვილად არ ველოდი. მითუმეტეს, წარმოუდგენელი იყო, თუ თავად დარეკავდა. ამან მისი პიროვნების სისადავეში კიდევ უფრო დამარწმუნა.

ამ მეტად სასიამოვნო დახმარების შემდეგ მეგობარს იქვე მიუწერია:

„ჯერ ივანიშვილს შენი გვარი მოეწონა, ახლა, სააკაშვილი პირადად გირეკავს – თავში არ აგივარდეს, მარტყოფლიშვილოო“

ილია მარტყოფლიშვილი

საიუბილეო საღამო

თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, 13 აპრილს, სრული ანშლაგი იყო პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტის ბალეტად აღიარებულ სპექტაკლზე „გედების ტბა“. დარბაზში ჟღერდა პ. ჩაიკოვსკის უკვდავი მუსიკა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით - დირიჟორი დავით მუქერია. მთავარ პარტიებს (ოდეტა-ოდილია და პრინცი ზიგფრიდი) ცეკვავდნენ მსოფლიოს პრიმა-ბალერინა, საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი და ტარას შევჩენკოს სახელობის უკრაინის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური აკადემიური თეატრის პრემიერი, უკრაინის დამსახურებული არტისტი დენის მატვიენკო, რომელიც მონაწილეობდა 2012 წლის მარტში ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ გალა- კონცერტზე. დ. მატვიენკო არის ერთადერთი მოცეკვავე, რომელიც საერთაშორისო საბალეტო კონკურსების ოთხ გრანპრის ფლობს.

ნინო ანანიაშვილის და დენის მატვიენკოს პადედეს მქუხარე აპლოდისმენტები სდევდა თან. ეს იყო ქართული საბალეტო დასის ტრიუმფალური გამარჯვება, ნინომ თავისი საიუბილეო საღამო ბრწყინვალე სპექტაკლით აღნიშნა და უსაზღვრო სიამოვნება მიანიჭა ზღვა მაყურებელს, „მე რომ ვცეკვავდი ოდეტას და ოდილიას პარტიას, ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს პარტერში იმყოფებოდა ჩემი ძმა და იქიდან მადევნებდა თვალს, იგი ახლახანს გარდაიცვალა და მისთვის ვცეკვავდი და ეს საღამოც მის ხსოვნას მივუძღვენი“ - აღნიშნა ნინომ.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია თავის უამრავ მკითხველთან ერთად ქ-ნ ნინოს ულოცავს საიუბილეო თარიღს და უსურვებს კვლავაც დიდხანს ეცეკვოს სცენაზე და თავისი ხელოვნებით კვლავაც გაეხარებინოს ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო და ქართველი მაყურებელი.

ნანა ჭიჭინაძე

გზა ხელოვნებისკენ

„გზა ხელოვნებისკენ“ - ასე ერქვა მუსიკალურ კონკურსს, რომელშიც დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის (დირექტორი მარიამ კიკილაშვილი) აღსაზრდელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს.

ლუკა ქისტაურმა, აბრამ ახალაურმა, მარიამ ლაპიაშვილმა, ლიანა გიგოლაშვილმა და სალომე სიმონიძემ კონკურსის ჟიურისგან დიპლომები დაიმსახურეს, მალვინა ისმაილოვა კი მეორე ადგილის მფლობელი გახდა.

სახელოვნებო სკოლებს შორის მუსიკალური კონკურსები ყოველწლიურად იმართებოდა და მასში ჩვენი მუნიციპალიტეტიც აქტიურად მონაწილეობდა. უკანასკნელ წლებში მივიწყებული ტრადიცია კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელმა პროფესიულმა კავშირმა აღადგინა. მკაცრი მოთხოვნების გამო კონკურსში მონაწილეობა ქვეყნის თექვსმეტმა სკოლამ შეძლო.კახეთის რეგიონიდან კი მხოლოდ დედოფლისწყაროს. დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში ამბობენ,რომ მათი მხრიდან ეს ძალიან თამამი ნაბიჯი იყო,ნაბიჯი,რომელმაც გაამართლა.

გამგეობის პრესსამსახური

ულოცავენ!

ზაქრო იაკობიშვილს!

ნინო ლომიძეს!

ჩემო საყვარლებო, ზაქარია და ნინო, გილოცავთ მეორე შვილის - გიორგის დაბადებას.

გისურვებთ ულევ სიხარულსა და ბედნიერებას. გამრავლდით და გაიხარეთ.

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

დიდი სიყვარულით: შენი მანანა მამიდა;
მამიდაშვილები: გია, თემური და თინიკო.

ყურადღება

თელავში „ავთანდილ ყამბარაშვილის“ კლინიკა აწარმოებს გინეკოლოგიური დაავადებების ქირურგიულ მკურნალობას მაღალი კლასის ქირურგიული ტექნიკით. მაღალკვალიფიციური ქირურგები ჩაგიტარებენ ზოგადქირურგიულ დაავადებათა ოპერაციულ მკურნალობას. კეთდება ყველა სახის უროლოგიური ოპერაცია თანამედროვე მეთოდით, მათ შორის პროსტატის ტრანსურეთრალური რეზექცია (ე.წ. „ტური“), ოპერაციებს აკეთებს უროლოგიის ნაციონალური ცენტრის წამყვანი პროფესორი თემურ ჩიგოგიძე.

კლინიკაში გრანდიოზული ფასდაკლებაა, მშობიარობა 350 ლარი, საკეისრო 700 ლარი, ყველა სახის გინეკოლოგიური ოპერაცია 750 ლარი.

მისამართი: ქ. თელავი, ალადაშვილის ქ.6
ტელ: 0-350-23-33-66, 0-350-23-33-22.

ყურადღება

ქალაქ დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქუჩაზე (ჯარისწყალთან) **გაიხსნა**

კაფე-რესტორანი „ნიკა“

აქ თქვენ მოგემსახურებიან და გაგიმასპინძლდებიან მაღალ დონეზე შესანიშნავი ცხელი კერძებით. მივიღებთ შეკვეთებს ოჯახისათვის და ყველანაირი სუფრისათვის. **დარბაზი იტევს 100 ადამიანს.** დარეკეთ ტელეფონზე:

599 73 15 95

ამინდი

შაბათი 27. 04		კვირა 28 04		ორშაბათი 29. 04		სამშაბათი 30. 04		ოთხშაბათი 01. 05		ხუთშაბათი 02. 05		პარასკევი 03. 05	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
16 °	8 °	17 °	13 °	18 °	15 °	19 °	16 °	18 °	14 °	19 °	15 °	18 °	14 °

დედოფლისწყარო

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K